ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2025 წლის 5 მაისი

სოფ. წეროვანი

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთა წახალისების წესის დამტკიცების შესახებ'' ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 მარტის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთა წახალისების წესის დამტკიცების შესახებ" ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 მარტის №6 დადგენილებაში (ვებგვერდი 12.03.2025; სარეგ. კოდი: 010250050.35.150.016216) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაფინანსება – ახალგორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე და მომავალ წლებში განსახორციელებელი ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთა წახალისების დაფინანსება (ფულადი დახმარება, ერთჯერადი გასაცემელი);"

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ" ქვეპუნქტი:

„თ) ცნობა მედალოსნის წახალისების მიუღებლობის შესახებ იმ მუნიციპალიტეტის მერიიდან, რომელშიც მისი სკოლა მდებარეობს.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალგორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ბალაშვილი**